სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება № 311

ქ. თბილისი 24 ოქტომბერი 2013 წ.

ერთის მხრივ –სსიპ თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბატონი გიორგი კალანდიას სახით, შემდგომში "შემსყიდველი", და მეორეს მხრივ სსიპ "თბილისის ვ.აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი", წარმოდგენილი მიდი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბატონი დავით დოიაშვილის სახით შემდგომში „მიმწოდებელი" საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით "შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას შეასრულოს გიორგი ერისთავის 200 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გამოფენის ფარგლებში:

- **მცირე თეატრალური წარმოდგენა (მსახიობები, ვ.აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიისა და დრამის თეათრიდან)**

2. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების(92312100) საერთო ღირებულება შეადგენს 2000 (ორიათასი) ლარს
2.2. ანგარიშსწორების ფორმაა: უნაღდო ანგაშისწორება.
2.3. შესყიდვა განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახაზინო სახსრებიდან.

3. სახელშეკრულებო ვადა

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ამა წლის 30 ოქტომბრამდე.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში დაინტერესებული მხარე ვალდებულია გააფრთხილოს დამრღვევი და დაუნიშნოს ვადა დარღვევის გამოსასწორებლად. თუ ასეთ გაფრთხილებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანქციებს.
4.2 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციებით
4.3 თუ ამ მუხლის 4.2 პუნქტში აღნიშნული სიტუაცია გაგრძელდება 1 (ერთ) თვეზე მეტ ხანს, ორივე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
4.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში "მიმწოდებელს" ეკისრება სანქცია ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 20%–ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება "შემსიყდველის" მიერ დასბუთებული წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.
4.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შერულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე "მიმწოდებელს" ეკისრება სანქცია დარჩენილი მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 1%-ის ოდენობით.

5. ფორს–მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებათა ზემოქმედების შედეგებით. ასეთი გარემოების დასტურს წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი.

5.2. მხარე, რომლისთვისაც წინამდებარე ხელშეკრულების შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებათა წარმოქმნის შედეგად, ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს 3 (სამი)

დღის განმავლობაში მათი წარმოქმნის დღიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უფლება აღარ ექნება მიუთითოს ამგვარ გარემოებებზე, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან განმათავისუფლებელ გარემოებაზე.

5.3. დაუძლეველი ძალის გარემოებათა დადგომისას მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა ეს გარემოებები.

6. დავის გადაწყვეტა

6.1. ყველა დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწეველობისას დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.
6.2. ყველა იმ შემთხვევაში, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. ყველა ცვლილება, დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ხორციელდება წერილობით, ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. მხარეებისათვის თითო ეგზემპლარი.

8. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ მუსიკის, კინოს, თეატრის
და ქორეოგრაფიის სახელმწიფო
მუზეუმი.

მის. თბილისი, კარგარეთელის №6

მომსახურე ბანკი: სს "საქართველოს ბანკის"
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE 26 BG 0000000 195728300

საიდენთიფიკაციო კოდი: 202059495

ტელ: 95 35 63

მუზეუმის დირექტორი:

_____ /გიორგი კალანდია/

მიმწოდებელი:

სსიპ "თბილისის ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური
კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო
თეატრი"

მის. ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №182

საიდენთიფიკაციო კოდი: 201948928

მომსახურე ბანკი: სს. "თი-ბი-სი" ბანკი

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშის ნომერი: GE49TB5610636080100006

ტელ: 2 35 75 07

თეატრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

_____ /დავით დოიაშვილი/

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ . თბილისი 25 ოქტომბერი 2013წ.

ჩვენ, ამ დოკუმენტზე ხელმომწერნი:
ერთის მხრივ – სსიპ თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმი (ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ. №6), შემდეგში „შემსყიდველი", მისი დირექტორის გიორგი კალანდიას სახით და მეორეს მხრივ – სსიპ "თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი" (მის. ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. 182), შემდეგში „მიმწოდებელი", ვადგენთ წინამდებარე აქტს იმის თაობაზე, რომ შემსყიდველმა მიმწოდებელს გადაუხადა უნაღდო ანგარიშწორებით 2000 (ორიათასი) ლარი შემდეგი მომსახურებისათვის:

- **მცირე თეატრალური წარმოდგენა (მსახიობები, ვ.აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრიდან)**

მიმწოდებელმა აღნიშნული თანხის ფასად გაუწია შემკვეთს მომსახურება (92312100):

რაც დასტურდება ხელმოწერით.

მიმწოდებელი:

თეატრის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი:

----------/დ.დოთიაშვილი/

შემსყიდველი:

მუზეუმის დირექტორი:

----------/გ.კალანდია/